ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	სოციალური მუშაობა
პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Social Work
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სოციალური მუშაობის მაგისტრი
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია ინგლისურ ენაზე	Master of Social Work
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი, 120 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2021 წელს. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კი პროგრამა შესაძლებელია განახლდეს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

„სოციალური მუშაობის“ სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

დეტალური ინფორმაცია შიდასუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“, რომელიც თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge

ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ნებისმიერ სფეროში.

პროგრამის მიზნები

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც შეძლებენ:

- შეიტანონ წვლილი საფრთხის წინაშე მყოფი ინდივიდების, თემებისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე ცვლილებების განხორციელებით;
- გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში პრობლემების განსაზღვრისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის;
- მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას სოციალური ადვოკატობის მიზნით;
- პროფესიული საქმიანობისას ეთიკის და პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებას.

სწავლის შედეგები

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს შემდეგი კომპეტენციები:
კურსდამთავრებულს აქვს/შეუძლია:

1. სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის რელევანტური სოციალური მუშაობისა და მომიჯნავე დარგების ფუნდამენტური თეორიების, მიდგომების და კონცეფციების სისტემური ცოდნა;

2. ზოგიერთი უახლესი მიღწევისა და შესაბამისი ინტერვენციების ინტეგრირება-შეჯერებით სოციალური მუშაობის პრაქტიკის განხორციელება მიკრო, მეზო, მაკრო დონეებზე, მომსახურების მიწოდების ყველა ეტაპზე, სადაც დაცულია პროფესიული ეთიკა, ნორმები და ღირებულებები;

3. სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის, პროგრამების და პრაქტიკის დონეზე ბენეფიციართ[1] უფლებების ადვოკატობა/წინ წამოწევა ჰოლისტური (ეკოსისტემური პერსპექტივა) მიდგომებისა და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით;

4. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და გამოყენება როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული სოციალური მუშაობის პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, ასევე სოციალური კეთილდღეობის სფეროში სისტემურ/პოლიტიკის დონეზე ცვლილებების ხელშეწყობისთვის;

5. კვლევის შედეგების კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

6. ბენეფიციარებთან ურთიერთობა ემპათიის, რეფლექსიისა და ინტერპერსონალური უნარების გამოყენებითა და მათი მრავალფეროვნების (ასაკი, გენდერი, აღმსარებლობა, ეთნიკურობა და ა. შ.) გათვალისწინებით;

7. სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და სოციალური მუშაობის კონტექსტში საკუთარი პროფესიული პრაქტიკის თვითრეფლექსიაზე დაყრდნობით პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

სწავლების მეთოდები

- ლექცია, სემინარი;
- ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდი (როლური თამაში, სიმულაცია, საველე პრაქტიკა);
- პროექტი (სოციალური პროექტების განხორციელება);
- რეფლექსია/თვითრეფლექსია/გამოცდილებით სწავლება (Experiential learning);
- RESULT-ფორმატის სწავლება/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- დისტანციური (ელექტრონული) სწავლების ელემენტები (online lectures/seminars, online side events, online virtual field trips, guest speakers);
- შემთხვევის შესწავლა (Case study); შემთხვევის ანალიზი;
- ანალიზი და სინთეზი;
- სუპერვიზია/პროფესიული ზედამხედველობა;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (Action Learning);
- სერვისის გამოყენებით სწავლება (Service Learning), ჩართულობითი, კოლაბორაციული სწავლება (Engaged and Collaborative Teaching);
- გონებრივი იერიში (Brainstorming);
- დაკვირვება (shadowing).

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

[1] საფრთხის წინაშე მყოფი ინდივიდები და ჯგუფები

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS-ს. პროგრამის კურიკულუმი მნიშვნელოვანწილად არის ორიენტირებული სტუდენტების პრაქტიკული უნარების, ანალიტიკური და კვლევითი კომპეტენციების განვითარებაზე.

პროგრამაში კომპონენტები შემოთავაზებულია სემესტრების შესაბამისად ცოდნის აკუმულაციის პრინციპის მიხედვით. კერძოდ, პირველ სემესტრში შემოთავაზებული კომპონენტები ფოკუსირებულია სოციალური მუშაობის სამეცნიერო კონტექსტის (დარგის ძირითადი თეორიების) შესწავლაზე და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ჯგუფებთან მუშაობაზე, მიკრო დონეზე, ასევე, კვლევითი უნარების განვითარებასა და აკადემიურ წერის უნარების დაუფლებაზე. ასევე, სტუდენტები მიიღებენ თეორიულ ცოდნას მომიჯნავე დისციპლინიდან (ფსიქოლოგია) ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებზე.

პარალელურ რეჟიმში სტუდენტები პირველივე სემესტრიდან გადიან პრაქტიკას, რაც მათ საშუალებას აძლევთ სოციალური მუშაობა შეისწავლონ რეალურ კონტექსტში - სოციალურ სააგენტოში მუშაობის მეშვეობით. **პრაქტიკა I პირველ სემესტრში კონცენტრირდება სოციალური მუშაობის ზოგადი ინტერვენციის მოდელზე – შემთხვევის მართვის მეთოდზე.**

1	სოციალური მუშაობის თეორიული მიდგომები და მათი გამოყენება	6	სავ
2	აკადემიური წერა	6	სავ
3	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I (ზოგადი)	6	სავ
4	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	6	სავ
5	განვითარების ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები	6	სავ

სწავლების მეორე სემესტრში შემოთავაზებული კომპონენტების გავლის შემდეგ სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნას და პრაქტიკული მუშაობის უნარებს დაუცველი ინდივიდების სისტემებეთან მეზო დონეზე (ოჯახებთან, თემებთან). ასევე, გაიღრმავებენ კვლევის უნარებს, მონაცემების სტატისტიკური დამუშავების მიმართულებით.

პარალელურ რეჟიმში სტუდენტები მეორე სემესტრში გადიან პრაქტიკას, რაც მათ საშუალებას აძლევთ სოციალური მუშაობა შეისწავლონ რეალურ კონტექსტში - სოციალურ სააგენტოში მუშაობის მეშვეობით. **მეორე სემესტრში პრაქტიკა II აქცენტირდება სიღარიბეზე და უსახლკარობის პრობლემაზე.**

1	ოჯახებისა და წყვილების კონსულტირება	6	სავ
2	მაკრო სოციალური მუშაობა: თემები და ჯგუფები	6	სავ
3	სოციალური ადვოკატობა	6	სავ
4	გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა	6	სავ
5	სოციალური მუშაობის პრაქტიკა II - სიღარიბე და უსახლკარობა	6	სავ

მესამე სემესტრში სტუდენტები მეტწილად კონცენტრირებულნი იქნებიან სოციალური მუშაობის სფეროს მაკრო ასპექტებზე - პოლიტიკის შესწავლაზე და სფეროს ბენეფიციარებზე ორიენტირებული სოციალური პროგრამების განვითარებასა და შეფასებაზე. ასევე, შესაძლებლობა ექნებათ გაიღრმავონ ცოდნა სოციალური მუშაობის სფეროსა (ფსიქიკური ჯანმრთელობა, სასჯელაღსრულება, ბავშვის კეთილდღეობა, წამალდამოკიდებულება და ა.შ.) და კონკრეტული მეთოდის (კლინიკური პრაქტიკა, კვლევა) მიმართულებით.

პარალელურ რეჟიმში სტუდენტები მესამე სემესტრში გადიან პრაქტიკას, რაც მათ საშუალებას აძლევთ სოციალური მუშაობა შეისწავლონ რეალურ კონტექსტში - სოციალურ სააგენტოში მუშაობის მეშვეობით. **მესამე სემესტრში პრაქტიკა III აქცენტირდება** რეპროდუქციული ჯანმრთელობაზე და არასრულწლოვანის უფლებებზე, ადიქციასთან დაკავშირებული გამოწვევებზე.

1	სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა	6	სავ
2	სოციალური პროგრამების განვითარება და შეფასება	6	სავ
3	სავალდებულო არჩევითი კურსი პრაქტიკის სფეროში	6	სავ-არჩ
4	სავალდებულო არჩევითი კურსი პრაქტიკის მეთოდში	6	სავ-არჩ
5	სოციალური მუშაობის პრაქტიკა III: რეპროდუქციული ჯანმრთელობა და არასრულწლოვანის უფლებები, ადიქციასთან დაკავშირებული გამოწვევები	6	სავ

სავალდებულო - არჩევითი კურსები:

პრაქტიკის სფერო - მინიმუმ 6 კრედიტი

1.	სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა და სოციალური მუშაობა
2.	სოციალური მუშაობა ბავშვებსა და მათ ოჯახებთან: პოლიტიკა, მომსახურება და პრაქტიკა
3.	სოციალური მუშაობა ქრონიკული და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე პაციენტებთან, მათი ოჯახის წევრებთან
4.	ადიქციის (ნარკოტიკების ავადმოხმარებისა და აზარტული თამაშის) პრევენცია
5.	ფსიქიკური ჯანმრთელობა და აშლილობები I
6.	სემინარი: ფსიქოლოგიური თეორია და სასკოლო პრაქტიკა
7.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან
8.	ჯანდაცვის პოლიტიკა

პრაქტიკის მეთოდი - მინიმუმ 6 კრედიტი

1.	მოტივაციური ინტერვიუირება
2.	ჯგუფური ფსიქოთერაპია
3.	ფსიქოტრავმა ბავშვებსა და მოზარდებში და მისი მართვა
4.	ქცევის გამოყენებითი ანალიზი
5.	SPSS
6.	თვისებრივი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში
7.	კულტურული ანთროპოლოგია: თეორია და კვლევა
8.	კონსულტირება სასკოლო და ტრანზიტულ პერიოდში
9.	კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანი და მასთან ფსიქოლოგიური მუშაობის თეორიული და კლინიკური ასპექტები
10.	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია
11.	ადიქტოლოგიური შემთხვევის მართვა
12.	აღდგენითი მართლმსაჯულება, მედიაცია და დელინქვენტობის პრევენცია მოზარდებში

მეოთხე სემესტრში სტუდენტები მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომზე, რომლის მიზნობრიობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთებულია საფრთხის წინაშე მყოფი ინდივიდების /ჯგუფების პრობლემების შესწავლაზე ჰოლისტური (ეკოსისტემური) პერსპექტივიდან, რაც მოიცავს მტკიცებულებებზე დაფუძნებული სოციალური მუშაობის პრაქტიკის გაუმჯობესებას და შესაბამისი რეკომენდაციების განვითარებას სოციალური მუშაობის სფეროში სისტემურ/პოლიტიკის დონეზე ცვლილებების ხელშეწყობისთვის;

პარალელურად სტუდენტები გადიან კურსს, რომელიც მათ ეხმარებათ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში (სოციალური მუშაობის კვლევის პროექტი).

მეოთხე სემესტრში სტუდენტები ასევე გადიან პრაქტიკას, რაც მათ საშუალებას აძლევთ სოციალური მუშაობა შეისწავლონ რეალურ კონტექსტში - სოციალურ სააგენტოში მუშაობის მეშვეობით. მეოთხე სემესტრში პრაქტიკა IV აქცენტირდება **ოჯახში ძალადობის საკითხებზე.**

1	სოციალური მუშაობის კვლევის პროექტი	6	სავ
2	სოციალური მუშაობის პრაქტიკა IV (ძალადობა ოჯახში: პრობლემის სამართლებრივი და სოციალური პერსპექტივა)	6	სავ
3	სამაგისტრო ნაშრომი	18	სავ

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს.
შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი –71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფეროები

სოციალური მუშაობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულები შესაძლებელია დასაქმდნენ სოციალურ მუშაკებად და სხვა შესაბამის პოზიციებზე სოციალური მომსახურების მიმწოდებელ სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მიკრო და მაკრო დონეზე, რაც ითვალისწინებს:

- უშუალო სერვისების აღმოჩენას და კონსულტირებას კლიენტთა სისტემებისათვის (ინდივიდი, ოჯახი, ბავშვები, თემები);
- სოციალური პროგრამების დაგეგმვას, განვითარებას, შეფასებას, ადმინისტრირებას და მართვას, ორგანიზაციის განვითარების კონსულტანტობას, პროფესიულ ზედამხედველობას, სოციალური პოლიტიკის განვითარებას, კვლევასა და სწავლებას.

კერძოდ კურსდამთავრებულები შესაძლებელია დასაქმდნენ შემდეგ ორგანიზაციებში:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სოციალური დაცვის დეპარტამენტი (მონიტორინგის სპეციალისტი);
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (სპეციალისტი);
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (სოციალური მუშაკი, უფროსი სოციალური მუშაკი, პროფესიული ზედამხედველი);
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებები (სოციალური მუშაკი);
- სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (სოციალური მუშაკი, პროფესიული ზედამხედველი, პროგრამების ხელმძღვანელი, პროგრამების კოორდინატორი)
- პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის პროგრამა (კოორდინატორი);

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (სოციალური მუშაკი, პროფესიული ზედამხედველი);
- სათემო ორგანიზაციები, ხანდაზმულთა სახლები და პანსიონატები (სოციალური მუშაკები, ორგანიზაციის ხელმძღვანელი);
- დღის ცენტრები შშმპ პირებისა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის (სოციალური მუშაკები, ცენტრის ხელმძღვანელი);
- სარეაბილიტაციო ცენტრები, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრები (სოციალური მუშაკები, ცენტრის ხელმძღვანელი);
- ახალგაზრდული ცენტრები (ახალგაზრდული მუშაკები, ცენტრის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი);
- უსახლკაროთა თავშესაფრები, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრები, კრიზისულ ცენტრები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებისათვის კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრები და ტრანზიტული ცენტრები (სოციალური მუშაკი);
- ონკოპრევენციისა და სხვა პალიატიური ზრუნვის ცენტრები (სოციალური მუშაკი);
- ასევე, სხვადასხვა სოციალურ პროგრამები (სოციალური მუშაკი, პროგრამის ხელმძღვანელი).

პრაქტიკის სფეროებია:

- ბავშვების, ახალგაზრდებისა და ოჯახების კეთილდღეობა; სოციალური დაცვის სისტემა და სოციალური ზრუნვა;
- პენიტენციური სისტემა: არასრულწლოვანი დამნაშავეები; კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები;
- ადამიანთა უფლებების დაცვა: კულტურული, რელიგიური და სხვა ნიშნით მრავალფეროვნება; ძალადობის მსხვერპლები;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა, წამალდამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ხანდაზმულები;
- სკოლის სოციალური მუშაობა; რთული ქცევის მქონე ბავშვები და სხვა;
- უსახლკარობა, სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობა; უმუშევრობა;
- ქრონიკული და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე პაციენტები (პალიატიური ზრუნვა).

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

სამაგისტრო პროგრამის დამფუძნებელ გუნდს და განმახორციელებლებს მეთოდოლოგიურ დახმარებასა და სუპერვიზიას უწევს ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (The University of Chicago, Crown Family School of Social Work, Policy, and Practice), კალიფორნიის უნივერსიტეტის - ნორთრიჯის პროფესორი ჯეიმს დეკერი (CSUN, California State University Northridge, College of Social and Behavioral Sciences, Department of Social Work), ასისტენტ პროფესორი სოციალურ მუშაობაში ინგა საითაძე (Ph.D., MPhil, MSW, Silberman School of Social Work, Hunter College) და ასისტენტ პროფესორი სოციალურ მუშაობაში თინა რ. კილაბერია (Ph.D. MSW, University of California Davis Health).

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოყენებული სასწავლო ფორმატისა და მეთოდების შესაბამის ინფრასტრუქტურას:

- ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ოთახი ინტერნეტთან და ელექტრონულ ბაზებთან წვდომით;

2007 წელს ევრაზიის პროექტის ფარგლებში შექმნილი სოციალური მუშაობის რესურს-ცენტრი (ამჟამად, სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრი - Research Center for Advancing Science in the Social Services and Interventions), ასევე, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის რესურს-ცენტრი, და საერთაშორისო ექსპერტული ქსელები: BPD-L@list.iupui.edu, http://ifsw.org/, http://www.iassw-aiets.org/ (სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის წევრი, 2019 წლიდან), https://www.eassw.org/ (ევროპის სოციალური მუშაობის სკოლების ასოციაციის წევრი 2020 წლიდან), https://www.iassw-aiets.org/iassw-regions/eesrassw/ (აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სოციალური მუშაობის

სკოლების გაერთიანების წევრი, 2016 წლიდან); ასევე, 2021 წლიდან სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა თანამშრომლობს ევროპის უნივერსიტეტებთან სოციალური მუშაობის სერვისის სწავლების (სოციალური მუშაობის პრაქტიკის) განვითარების მიმართულებით eassw მხარდაჭერით.
https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/siaxleebi-302/proeqti-servisis-swavleba-chartuli-da-kolaboraciuli-swavla-da-swavleba-socialur-mushaobashi.page .

2019 წლიდან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და პროფესორები მონაწილეობენ ურთიერთგაცვლით პროგრამაში (K Action 1, Interinstitutional agreement 1.9.2020-31.7.2023 Higher Education Student and Staff Mobility). დღევანდელის ჩათვლით 15 სტუდენტმა გაიარა ერთი სემესტრი ოლომოუცის, პალაცკის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) წმინდა კირილეს და მეთოდეს სახელობის თეოლოგიის ფაკულტეტის, ქრისტიანული სოციალური მუშაობის დეპარტამენტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამაში, ხოლო ორივე მხრიდან პროფესორები მონაწილეობდნენ გამოცდილების გაზიარებაში (სულ 8 პროფესორი). ასევე, 2018-2021 წლებში პროგრამამ წარმატებით ითანამშრომლა ევრაზიის პროექტის ფარგლებში (CPEA-LT-2017/10043), დამყარდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ნორვეგიის რუდოლფ შტაინერის საუნივერსიტეტო კოლეჯთან სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარების მიზნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, 2021 წელს გამოიცა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის პრაქტიკის სწავლებისთვის *https://library.iliauni.edu.ge/ebooks/sotsialuri-pedagogika-sotsialur-mushaobashi/*, სტუდენტებმა და პროფესორებმა გაიარეს სტაჟირება ნორვეგიაში .

- პრაქტიკისთვის გამოყენებულია მთელი საქართველოს მასშტაბით ოცდაათმდე პრაქტიკის სააგენტო, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სოციალური მუშაობის სხვადასხვა სფეროს ბენეფიციარებს ემსახურებიან. ქვემოთ ჩამოთვლილია და კლასიფიცირებულია ეს ორგნიზაციები პრაქტიკის სფეროების მიხედვით:

ბავშვების, ახალგაზრდებისა და ოჯახების კეთილდღეობა; სოციალური დაცვის სისტემა და სოციალური ზრუნვა:

- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო) მთელი საქართველოს მასშტაბით.
- SOS ბავშვთა სოფელი
- საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი დღის ცენტრი
- ფონდი თბილისის მოზარდთა სახლი
- არასამთავრობო ორგანიზაცია: "ბავშვი და გარემო"
- არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC)
- არასამათავრობო ორგანიზაცია „ საზოგადოება ბილიკი".
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრი, პროექტი "ჩვენ გოგოები" The University of Chicago, Crown Family School of Social Work, Policy, and Practice, USA. (2024-2026)

პენიტენციალური სისტემა: არასრულწლოვანი დამნაშავეები; კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.
- GCRT – წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი
- ა(ა)იპ პრევენცია პროგრესისთვის
- სპეციალური პენიტენციური სამსახური

ადამიანთა უფლებების დაცვა: კულტურული, რელიგიური და სხვა ნიშნით მრავალფეროვნება; ძალადობის მსხვერპლები:

- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
- ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი "ძდექი"

- არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის - PHR”
- არასამთავრობო ორგანიზაცია “ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“.

ფსიქიკური ჯანმრთელობა, წამალდამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი:
- არასამთავრობო ორგანიზაცია თანადგომა - საინფორმაციო, სამედიცინო და ფსიქოლოგიური ცენტრი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს-ცენტრი
- ტომაშ ზაბრანსკის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი;
- გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისის ოფისი;
- ა(ა)იპ - შიდსის ჯანდაცვის ფონდის ფილიალი საქართველოში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, განვითარების დარღვევები (ბავშვები, მოზრდილები და ხანდაზმულები):
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი;
- არასამთავრობო ორგანიზაცია: პირველი ნაბიჯი - საქართველო;
- კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას, რომ საჭიროებენ;
- საზოგადოებრივი ორგანიზაცია თემი „ქედელი“;
- ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი;
- ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისთვის;
- საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი: ხანდაზმულთა დღის ცენტრი “ჰარმონია”;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი “სასწავლო ლაბორატორიები თანაბარი უფლებებისთვის” (# CIF – 2023-04).

სოციალური მუშაობა სკოლაში/სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან: რთული ქცევის ბავშვები და სხვა:
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობისსამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
- თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი
- საბავშვო ბაგა-ბაღი "ნევერლენდი"

უსახლკარობა, სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობა; უმუშევრობა, თემებთან მუშაობა:
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური. თავშესაფარი
- ააიპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

პროგრამის სტრუქტურა

№	კურსები	სტატუსი	ლექტორი	წინაპირობა	კრედიტი	საკონტ. საათები	სემესტრები	
							შემ.	გაზ.
სავალდებულო კურსები (90 კრედიტი)								
1.	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	სავ	დალაქიშვილი მ. რჩეულიშვილი ნ.		6	32	X	
2.	სოციალური მუშაობის თეორიული მიდგომები და მათი გამოყენება	სავ.	საძაგლიშვილი შ.		6	32	X	
3.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I (ზოგადი)	სავ.	საძაგლიშვილი შ. ლეკიშვილი ქ.		6	47	X	
4.	აკადემიური წერა	სავ.	მაია როგავა		6	32	X	
5.	განვითარების ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები	სავ.	წერეთელი მ. ნუცუბიძე ნ.		6	32	X	
6.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა II - სიღარიბე და უსახლკარობა	სავ.	საძაგლიშვილი შ. ლეკიშვილი ქ.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I	6	47		X
7.	ოჯახების და წყვილების კონსულტირება	სავ.	საძაგლიშვილი შ.	სოციალური მუშაობის თეორიული მიდგომები და მათი გამოყენება	6	32		X
8.	გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა	სავ.	ნადარეიშვილი მ.		6	32		X
9.	მაკრო სოციალური მუშაობა: თემები და ჯგუფები	სავ.	გოცირიძე თ.		6	32		X
10.	სოციალური ადვოკატობა	სავ.	გიგინეიშვილი ქ.		6	32		X
11.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა III: რეპროდუქციული ჯანმრთელობა და არასრულწლოვანის უფლებები, ადიქციასთან დაკავშირებული გამოწვევები	სავ.	საძაგლიშვილი შ. ლეკიშვილი ქ.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა სემინარი II	6	47	X	
12.	სოციალური პროგრამების განვითარება და შეფასება	სავ.	საძაგლიშვილი შ.	კვლევის მეთოდებში სოციალურ მეცნიერებებში	6	32	X	

13.	სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა	სავ.	გიგინეიშვილი ქ. ასათიანი რ.		6	32	X	
14.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა IV (ძალადობა ოჯახში: პრობლემის სამართლებრივი და სოციალური პერსპექტივა)	სავ.	საძაგლიშვილი შ. ლეკიშვილი ქ.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა III	6	47		X
15.	სოციალური მუშაობის კვლევის პროექტი	სავ.	საძაგლიშვილი შ.	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში; გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა;	6	32		X
არჩევითი კურსები (12 კრედიტი)								
(პრაქტიკის სფეროს და პრაქტიკის მეთოდების კურსები)								
1.	სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა და სოციალური მუშაობა	არჩ.	შეყრილაძე ი., ქელბაქიანი ა.		6	47	X	
2.	სოციალური მუშაობა ბავშვებსა და მათ ოჯახებთან: პოლიტიკა, მომსახურება და პრაქტიკა	არჩ.	ნუცუბიძე ნ.		6	32	X	
3.	სოციალური მუშაობა ქრონიკული და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე პაციენტებთან მათი ოჯახის წევრებთან	არჩ.	ვადაჭკორია ს.		6	32	X	
4.	ადიქციის (ნარკოტიკების ავადმოხმარებისა და აზარტული თამაშის) პრევენცია	არჩ.	ჯავახიშვილი დ.		6	32	X	
5.	ფსიქიკური ჯანმრთელობა და აშლილობები 1	არჩ.	შეყრილაძე ი.		6	32	X	
6.	ჯგუფური ფსიქოთერაპია	არჩ.	მაყაშვილი ქ. კორინთელი რ.		6	32	X	
7.	სემინარი ფსიქოლოგიური თეორია და სასკოლო პრაქტიკა	არჩ.	ჯაფარიძე მ.		6	30	X	

8.	ქცევის გამოყენებითი ანალიზი	არჩ.	მეფარიშვილი ნ.		6	32	X	X
9.	SPSS	არჩ.	კეჭაყმაძე ვ.		6	33	X	X
10.	თვისებრივი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში	არჩ..	სხირტლაძე ნ.		6	32	X	
11.	კულტურული ანთროპოლოგია: თეორია და კვლევა	არჩ.	გურჩიანი ქ.		6	32	X	
12.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან	არჩ.	გიგინეიშვილი ქ..		6	32	X	
13.	მოტივაციური ინტერვიუირება	არჩ.	შეყრილაძე ი.		6	32	X	X
14.	ფსიქოტრავმა ბავშვებსა და მოზარდებში და მისი მართვა	არჩ.	ჯავახიშვილი დ.		6	32	X	
15.	კონსულტირება სასკოლო და ტრანზიტულ პერიოდში	არჩ.	მაყაშვილი ქ.		6	32	X	
16.	კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანი და მასთან ფსიქოლოგიური მუშაობის თეორიული და კლინიკური ასპექტები	არჩ.	დოლიძე ს.		6	30	X	
17.	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	არჩ.	მარინე კურატაშვილი		6	78	X	
18.	ადიქტოლოგიური შემთხვევის მართვა	არჩ.	დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი		6	30	X	
19.	ჯანდაცვის პოლიტიკა	არჩ	მჟავანაძე ი.		6	32	X	
20.	აღდგენითი მართლმსაჯულება, მედიაცია და დელინქვენტობის პრევენცია მოზარდებში	არჩ.	დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი		6	30		X
21.	**სამაგისტრო ნაშრომი**	სავ	პროგრამაში ჩართული ყველა ლექტორი		18		X	X

სამაგისტრო პროგრამაში - **სოციალური მუშაობა** ჩართული აკადემიური/მოწვეული/საერთაშორიო აკადემიური პერსონალი			
№	**სახელი და გვარი**	**სტატუსი**	**ელექტრონული ფოსტა**
აკადემიური პერსონალი			
1.	საძაგლიშვილი შორენა	პროფესორი	shorena_sadzaglishvili@iliauni.edu.ge
2.	ჯავახიშვილი დარეჯან	პროფესორი	darejan.javakhishvili.1@iliauni.edu.ge
3.	მაყაშვილი ქეთევან	პროფესორი	ketevan_makashvili@iliauni.edu.ge
4.	ჯაფარიძე მარინე	პროფესორი	marine_japaridze@iliauni.edu.ge
5.	ნადარეიშვილი მამუკა	პროფესორი	mamuka.nadareishvili@iliauni.edu.ge
6.	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge
7.	გურჩიანი ქეთი	პროფესორი	ketevan_gurchiani@iliauni.edu.ge
8.	კორინთელი რევაზ	პროფესორი	revaz_korinteli@iliauni.edu.ge
9.	შეყრილაძე ია	ასოცირებული პროფესორი	ia.shekriladze@iliauni.edu.ge
10.	მეფარიშვილი ნატა	ასოცირებული პროფესორი	nata.meparishvili@iliauni.edu.ge
11.	წერეთელი მაია	ასოცირებული პროფესორი	maia.tsereteli@iliauni.edu.ge
12.	კეჭაყმაძე ვანო	ასისტენტ პროფესორი	ivane.kechakmadze@iliauni.edu.ge
13.	ნინო სხირტლაძე	ასისტენტ-პროფესორი	nino.skhirtladze.2@iliauni.edu.ge
14.	დალაქიშვილი მარიამ	ასისტენტ-პროფესორი	m.dalakishvili@iliauni.edu.ge
მოწვეული პერსონალი			
1.	გიგინეიშვილი ქეთევან	მოწვეული ლექტორი	ketevan.gigineishvili.1@iliauni.edu.ge
2.	ნუცუბიძე ნინო	მოწვეული ლექტორი	Nutsubidzenino@yahoo.com
3.	ვადაჭკორია სალომე	მოწვეული ლექტორი	salotbilisi@yahoo.com
4.	ლეკიშვილი ქეთევან	მოწვეული ლექტორი	ketevan.lekishvili.1@iliauni.edu.ge
5.	გოცირიძე თეონა	მოწვეული ლექტორი	teona.gotsiridze.1@iliauni.edu.ge
6.	ქელბაქიანი ანტონ	მოწვეული ლექტორი	anton.kelbakiani@gmail.com
7.	დოლიძე სოსო	მოწვეული ლექტორი	soso.dolidze.2@iliauni.edu.ge
8.	მარინა კურატაშვილი	მოწვეული ლექტორი	mkurat1@gmail.com
9.	ირმა მჟავანაძე	მოწვეული ლექტორი	irmamjavanadze@yahoo.com
10.	რუსუდან ასათიანი	მოწვეული ლექტორი	rusudan.asatiani.1@iliauni.edu.ge
საერთაშორისო ექსპერტები			
1.	ჯეიმს დეკერ	პროფესორი	jdecker@csun.edu
2.	ალიდა ბურის	ასოცირებული პროფესორი	abouris@uchicago.edu
3.	ინგა საითაძე	ასისტენტ პროფესორი	isaitadze@gmail.com
4.	თინა რ. კილაბერია	ასისტენტ პროფესორი	kilab002@umn.edu tkilaberia@ucdavis.edu